საქართველოს ნაციონალური პარტია.

კვირა
მარტის 7.
(თებერვლის 23)
1920 წელი
№ 10
ფასი 4 მ. ნ.

გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს
სოფლის მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესებს

ყოველ-კვირეული გაზეთი
„კლდე"

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის
10 საათიდან 3 საათამდე.

გაზეთის ფასი წლის დამლევამდე 200 მან.

მისამართი რედაქციის: დამფუძ. კრებ. ქ. № 5.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17.

ტელეფონი 22.

შინაარსი

მეთაური აჭარაში მუშაობისათვის
რ. გაბაშვილი შრომის ჯარი
ი. დიდიძე ოსმალეთი და საქართველო
ძველი ქართველი ქართლის შთაბეჭდილებანი
სასოფლო მეურნეობა: გ. წინამძღვრის წერილი „შაბიამან-გოგირდის საკითხზე"
მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება
ახალგაზრდა ნაციონალისტთა ორგანიზაცია
ბათუმის ცნობები

უკანასკნელი ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრთხილება

ბორჯომის წყლის გაყიდვის შესახებ:

ორჯომის წყალი კერძო მოვაჭრეებს ეძლევათ ჩვენი საწყობებიდან თითო ბოთლი 10 მანეთად (ბოთლით)

მავე დროს ბევრი მოვაჭრეთაგანი ყიდის ამ წყალს სპეკულიატიურ ფასებში; 20—30 მანეთამდე. (ისიც უბოთლოდ).

აფრთხილებ ყველას, რომ ვინც ამას იქით 50% მეტს მოუმატებს ჩვენთან დაწესებულ ფასს, მათ სრულებით აღარ მიეყიდებათ წყალი ჩვენი საწყობებიდან.

ბორჯომის წყლის კონტრაგენტი
მიწათმოქმედების სამინისტროსი

დავით ქებაძე

აჭარაში მუშაობისათვის

განაპირა კუთხეების თავისებურობა ადათ—ზნე ჩვეულებანი მოითხოვს, რომ ასეთ კუთხეთა საკითხების გადაჭრა-მოგვარების დროს ცენტრში ხელმძღვანელობდენ საგანგებოთ გამომუშავებელ მიზან მონდენილ გეგმებით, რათა ხსენებულ თავისებურობათ სრული ანგარიში ეწეოდეს. აჭარის თავისებურობა ისეთია, რომ ამ მხარის დედა საქართველოსთან შემოერთება არ უნდა მოხდეს ჩვეულებრივ სამხედრო და საადმინისტრაციო ფორმალიზმით!.. აჭარაში შემავალი მოწინავე ლეგიონები აჭარელ ძმებისაგან უნდა იქმნეს შედგენილი, ეს აღაფრთოვანებს მუსლიმან ქართველებს და გააქარწყლებს იმ პროვოკაციას, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მტრები ბათუმის ოლქში ეწევიან, ქრისტიანული ნაწილები აჭარის დასაპყრობად მოდიანო.

აღსანიშნავია, რომ ამ ჟამად მთელი სამუსლიმანო საქართველო მზად არის ლაშქარში შევიდეს. მუსლიმან ქართველის ჯარში შეყვანა სიმაგრეს მოუმატებდა რესპუბლიკის მილიტარულ ძალას. გმირი აჭარელი საუკეთესოდ ითვისებს კულტურულ ჯარის დისციპლინას და სამაგალითო სალდათი ხდება. გარდა ამისა საჭიროც არის რომ ჩვენს ჯარში გამოწვეულ იქმნენ მაჰმადიანი ქვეშევრდომები, მათი რესპუბლიკის რეგულიარულ ჯარში არევა მორალურ და ფსიქოლოგიურ გავლენას იქონიებდა ქართველ სალდათებზე. მაჰმადიანობა თუ მოვლილია, ძვირფასი სალდათი ხდება, ჩვენს კანონს, რომელიც მაჰმადიანების ჯარიდან განთავისუფლებას ჰგულისხმობს გადასინჯვა უნდა. მაგრამ ამ კანონის გადასინჯვამდე აუცილებელია ყურადღება მიექცეს ამ მხრით სამუსლიმანო საქართველოს და თუნდ დროებით ამ მხრისთვის მოეწყოს მუსლიმანური რაზმები.

* * *

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ აჭარაში მუშაობა-მოღვაწეობა უნდა მიენდოს აჭარელებისვე რჩევით აჭარაში ნდობა მოპოებულ პირებს აჭარა იდეური ასპარეზია, მაგრამ ამავე დროს აჭარა გრძნობის უფსკრულია. ყველას არ შეუძლია ხალხის ამ გრძნობას მოუაროს. ვშიშობთ, რომ ზოგიერთი „კომივოიაჟორმა", რომელიც მთავრობის ნდო[illegible] აღჭურვილი აჭარაში სამოქმედოთ მიეჩქარება „თავისებურ რესეპტებით" საქმე არ გაართულოს.

ვწუხვართ, რომ ის ხალხი, რომელსაც ახლო წარსულის თავდადებული შრომა უცხოეთშიც კი პირდაპირ აკავშირებს აჭარასთან დღეს აჭარაში არ არიან. აჭარა მათ ელის, აჭარას ისინი ჰსურს. დაე შეიგნონ ცენტრში და ნუ მიანდობენ ყველაფერს ჩვეულებრივ მოვლენების განვითარებას, როცა ეს მოვლენები თვითონვე დაირქმევენ სახელს, სახელს ჩვენთვის არა სასურველს.

ოსმალეთი და საქართველო

ოსმალეთის პარლამენტი სტამბოლიდან მიესალმა საქართველოს დამფუძნებელ კრებას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების გამო.

ოსმალეთის პარლამენტის მოლოცვა თავისთავად ჩვეულებრივი მოვლენაა სახელმწიფოთა ცხოვრებაში

მაგრამ აქ საინტერესოა სხვა მომენტი, რომელსაც ხსენებულ სალამს უკავშირებთ.

ოსმალეთი და საქართველო ერთმანეთს საშუალო საუკუნიდან იცნობენ, ორივე სახელმწიფო ერთმანეთის მოსაზღვრეთ სცხოვრობენ.

მე-18 საუკუნის დასასრულამდე საქართველო და ოსმალეთი ურთიერთ ინტერესის საერთო ვალდებულების გარეშე იდგენ, ამით აიხსნება ის სიმახინჯე, რომ ათას წლის სივრცეზე ქართლის პოლიტიკა და ოსმალეთის პოლიტიკა ვერ მორიგდა. 1801 წ. ქართლის თვით ხელმწიფების ისტორია შეაჩერა რუსის იმპერატორმა, ასე რომ აზიისკენ მსწრაფმა რუსობამ გააღრმავა უფსკრული ოსმალეთ საქართველოს შორის ოსმალეთი და საქართველო ამ დროიდანაც მტრებად თუ არა ყოველ შემთხვევაში მეგობრად არ დარჩენილან, ეს ასახსნელიც არის: საქართველო უპიროვნო იყო, მიუდგომელ ისტორიკოსს კი ჯერ თავის სიტყვა არ ეთქვა, მაგრამ ახლა სულ სხვა მდგომარეობაა!.. საქართველო ისევ სახელმწიფო, აღდგენილ განახლებული, ხვდება მისებრ ბებერ სახელმწიფოს ოსმალეთს და იწყება ახალი ეპოქა სტამბოლისა და თფილისის ცხოვრებაში!..

წარსულის უსიამოვნებანი, სისხლიანი ეპიზოდები ისევ არქივებს ებაროს, ჩვენ ვილაპარაკოთ აწმყოზე!..

ოსმალეთი და საქართველო მეზობლობ-მეგობრობის მხრით ორიგინალური სახელმწიფოებია. დედამიწის ზურგზე ისე არც ერთ სახელმწიფოს არ სჭირია ურთიერთ მშვიდობიანობა და მორიგება, როგორც ოსმალეთ საქართველოს, სამაგიეროდ იმდენი არც ერთ სახელმწიფოს არ უქიშპია და უმტრია ერთმანეთში, რამდენიც ამ სახელმწიფოებმა მაგრამ ეს ისევ წარსულის აკადემიურ მკვლევაოს მივანდოთ, დაე, მათ დასვან დამნაშავის სკამებზე წარსულის ბუმბერაზთა აჩრდილები, ჩვენს შორის შურს და მტრობას რომ აჩენდენ და შესასწავლად წარმოუდგინოთ მომავალ თაობებს!..

როგორც წინად, ისე ახლაც უაღრესად საჭიროა საქართველოს და ოსმალეთს შორის მორიგება, ნამდვილ კეთილ მეზობლურ განწყობილების დამყარება.

ოსმალეთისათვის საქართველო საჭიროა, როგორც ბუფერი რუს სკვითების მიჰმართ, ოსმალეთი დაღუპა რუსეთის ნიკოლოზების „ბოლშევიკურმა" წინსვლამ აზიისკენ, ოსმალეთი არც მომავალშია დაზღვეული ჩრდილოეთის ბარბაროსების შემოსევისგან, რის გამოც მისთვის აუცილებელია ბუფერის შექმნა და ასეთი ბუფერი მხოლოდ საქართველოა!..

თავის მხრით საქართველოსაც უნდა ოსმალეთი, როგორც ანტირუსული სახელმწიფო; საქართველოს სასიცოცხლო, საარსებო ბედი მოითხოვს სწორ წონაობისათვის სამხრეთით იყოს რუსეთის დასაპირდაპირებელი ძალა, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას რუსეთიდან დაიცავს.

ამიტომ საქართველო და ოსმალეთი ერთმანეთში უთუოდ უნდა მორიგდენ. რა თქმა უნდა კონკრეტიულად აქ ჩვენ მორიგების ყველა მხარეებს ვერ დავასახელებთ, მხოლოდ რომ მიუცილებელია ორივე სახელმწიფომ დასთმოს. ოსმალეთმა პოლიტიკურად უნდა საბოლოოდ დაუთმოს საქართველოს ძველი ქართული პროვინციები ლაზისტანიდან და აჭარიდან დაწყებული ვიდრე ბათუმამდე, სამაგიეროდ ამ მუსლიმანურ პროვინციებში საქართველომ უნდა პატივი სცეს ისლამის კულტურას და დასთმოს თავისი სოციალ დემოკრატიული კანონმდებლობა.

ამ ნიადაგზე უნდა შეიქმნას საქართველოს ფარგლებში ავტონომიური სამაჰმადიანო საქართველო, როგორც სამეგობრო ხიდი და გზა თფილისისა და სტამბოლის შორის.

ი. დიდიძე.

შრომის ჯარი

აქამდის ჯარი მარტოოდენ საომარი იარაღი და გამანადგურებული იყო ყოველგან; მისი დანიშნულება მხოლოდ ქვეყნის დაცვა იყო მტრისაგან; მაგრამ ეხლა ცხოვრება იმდენად გართულდა საზოგადოთ და ნამეტნავად ჩვენი პატარა სახელმწიფოსი, რომ საუკეთესო ახალგაზრდობის,—ჯანსაღის და ენერგიით სავსის გამოყენება მარტო განადგურებისა და ქვეყნის სამხედრო დაცვისათვის საკმაო არ არის.

ჩვენი ქვეყანა, მდიდარი ბუნებით და ბუნებრივი სიმდიდრით, სიღარიბეში იღრჩობა ამ სიმდიდრეთა დაუმუშავებისა გამო; ჩვენ ქვეყანას მრავალი მტერი ჰყავს დამქცევი და ნაკლები შეგნება აქვს აღმშენებლობისა, რაიც ნათლად დაამტკიცა უკანასკნელი დროის სოციალისტურმა ექსპერიმენტებმა; ჩვენ სამშობლოს მრავალი ბუნებრივი მოვლენა უთხრის ძირს,—წყალდიდობა, ქარი, ზვავები, მიწის ძვრა და სხ.,—და ხელის შემბრუნებელი ნაკლებაა... და აი ყველა ამ საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენასთან ბრძოლა მინებებულია მარტო კერძო ინიციატივაზედ, რომელსაც კი არ ახალისებს სოციალისტური მთავრობა, არამედ სთრგუნავს მხოლოდ. ასეთ პირობებში ქვეყანა კატასტროფისაკენ მიდის ბუნებრივად და ელვისებურადაც.

ამიტომ საჭიროა შექმნა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ორგანიზაციისა, რომელიც შეებრძოლება მტრებსაც, ბუნების მოვლენებსაც და აღმშენებლობით სამსახურსაც გაუწევს ჩვენს წყალ წაღებულ სამშობლოს. ასეთ ორგანიზაციად ჩვენ მიგვაჩნია—ჯარი. ჯარის განსაზღვრული ნაწილი (დაახლოვებით ერთი მეათედი), უნდა მიჩენილი იყოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამუშაოებზედ: გზები, არხები, საზოგადო დაწესებულებანი, ჯებირები, სანაპიროების გამაგრება და სხ.,—, ყველა ეს ჯარის მშრომელი ნაწილის ხელით უნდა შენდებოდეს და მაგრდებოდეს. ბრძოლა წყალდიდობასთან, მიწის ძვრასთან და სხვა ბუნების ძალებთან უნდა მწყობრი და შეუდრეკელი, ორგანიზაციული ხასიათისა იყოს, რომ მისი შედეგები თვალსაჩინო იყოს რესპუბლიკისათვის და სამაგალითო მოქალაქეთათვის. მიწის სიმდიდრეთა ამოსაღები და გარდამქმნელი მოწყობილობანი, ექსპლოატაციის დაწყებამდე, როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ორგანიზაცია, უნდა კეთდებოდეს სახელმწიფოს ვალდებულთა ხელით.

მაგრამ ესეთი ორგანიზაცია ჯარის ნაწილისა იმ რიგად უნდა იყოს მოწყობილი, რომ არც ძალდატანებით ყმობას დაემსგავსოს და არც შრომის ბეგარას, რაიც ადვილი მისაღწევია იმ მაგალითების მიხედვით, რომელიცა გვაქვს როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნებში. ბელგიაში, მაგალითად, საყოველთაო სამხედრო ბეგარა იყო, მაგრამ საკოლონიო ჯარი შესდგებოდა ნებაყოფლობით და მეტი ჯამაგირი ეძლეოდა. ინგლისში მთელი ჯარი ნებაყოფლობით და ჯამაგირით ინახებოდა. ჩვენში, გვარდიის ყარაიაში მუშაობამ, გორში საპიორების მოქმედებამ და ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეთა მუყაითობამ დაამტკიცა ფაქტიურად შესაძლებლობა ჯარის ნაწილთა შრომის გამოყენებისა საზოგადო სამუშაოებზედ. ჩვენ მით უფრო მიგვაჩნია სასურველად ასეთი საქმეების გაძლიერება, რომ ჯარის სასაპირო ნაწილი, ყოვილგვარ სამუშაოზედ გამოყენებული და გაწაფული ინჟინერთა და ხელოსანთა ხელმძღვანელობით, გაცილებით უფრო ადვილად შეისწავლის სპეციალურ სამხედრო სასაპირო საქმესაც, უფრო განვითარდება და ომის დროს უკეთესად იმოქმედებს გარდა ამისა, იგი შექმნის ისეთ ღირებულებათ, რომლის მეოხებით შემცირდება სახელმწიფოს საზოგადო და სამხედრო ხარჯები შეიძლება ასეთი მუშაობა მორიგეობით იყოს ჯარის სხვა და სხვა ნაწილებისა და მაშინ ქვეყანას დაუბრუნდება გაწვრთნილი ხელოსანი, შემოქმედი თავისთვისა და სამშობლოსათვის და არა გარყვნილი, უქნარა, შრომას გადაჩვეული ვაჟკაცი.

ასეთ შრომას ის უპირატესობაც ექმნება, რომ ორგანიზაციულად მოწყობილი შრომა ათასწილად უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე ცალკე შეგნებულ პირთა შებრძოლება ბუნებასთან მაშინ, როცა მასსა შეუგნებელი არის. ცდა შეიძლება დავიწყოთ გორის აშენებიდან, რომელსაც მარტო ფული ვერაფერს უშველის, რადგან მილიონები დასჭირდებოდა ასაშენებლად, და ვინ მოგვცა?

ჯარის ერთი მეათედი შეადგენს რამდენიმე ათასეულ ჯარის კაცს და მათი მწყობრი მუშაობა განსაზღვრული ფასით მთელს ქვეყანას ააშენებდა და სამაგალითოს გახდიდა ჩვენს სამშობლოს.

სათანადო კანონის შემუშავება სულ ადვილი იქნება და, თუ მთავრობა და ერი განახორციელებს ასეთ საშინაო ძვირფას საქმის სისრულეს.

დღეს ხელის სიძვირის დასაძლევათაც ეს უებარო წამალი იქნებოდა, რადგან მუშა ხელიც გაიაფდებოდა, გამრავლდებოდა და ყოველგვარი ღირებულება ნაწარმოებიც იმატებდა: ჯარის ნაწილის ასეთ ორგანიზაციას შეეძლო მთელი აღმშენებლობითი პროცესი საქართველოსი მტკიცე და სწორ ნიადაგზე დაეყენებინა და ბუნებრივად მოესპო ცარცვა-გლეჯის ფსიხოლოგიაც, როგორც კანონიერი, ისე უკანონო.

რ. გაბაშვილი.

ქართლის შთაბეჭდილებანი

(დანგრეულ კერასთან).

რიყრაყმა ჰკრა. მატარებელი მძიმედ უხიდავ ნანგრევებთან გაჩერდა. ეს ყოფილი გორის ყოფილი სადგური იყო. გვინახავს კაცის სიკვდილი, სიკვდილი მახლობელი ადამიანისა, მაგრამ სიკვდილი იმისა, რასაც კულტურას ვეძახდით, რაც იყო გვირგვინი კაცის გამარჯვებისა, რაც გვაძლევდა სამშობლოს განცხრომას, რაც ჰკვებავდა ჩვენ რწმენას წარმოუდგენელი იყო. მაგრამ ყოფილა ძალა მისი მომკვლელი!

დიდ ხარ, შენ უფალო!

ჭეშმარიტად დიდ ხარ, ვინაიდან აღარ არის სხვა ძალა ნუგეშისა!

[illegible] აჩრდილი, [illegible] საცოდავი ნანგრევი! [illegible] უმწეობისა და [illegible] დაჰკრავს მათ სახეს, გვერიდებით, ვაი თუ შემხვდეს ნაცნობი და მამხილოს ის, რასაც გაურბის ფიქრი, რამაც ორი დღეა თვალი არ დამახუჭინა.

გავუდექ ხიდისაკენ მეწყვა ვიღაც. „თქვენი ძმა აქ არის, ავადმყოფი ჰყავს სასანიტარო მატარებელში, ზუზუმანის ქარხნის გვერ-

დითა სდგას ვგონი''. ვაცქერდები ვერა ვცნობ.

კითხულობს ჩემ თვალებში, რის თქმასაც ვერ ვბედავ. მიპასუხებს. „ხალხით მსხვერპლი ნაკლებია, თქვენები სოფელში არიან წასულნი''. ვმშვიდდები ოდნავ. ასეთი უღვთოა გული კაცისა! ძმას ადვილად ვპოულობ. სახე გაჭკაჟებია. პირველი განცდანი მოუნელებია და, ჩემთან შედარებით, გმირია! ეს მამხნევებს. „არა გვიშავს რა, ყველანი ცოცხლები ვართ, მხოლოდ სახლები დაგვენგრა აქაც და სოფელშიაც''. ვნახულობ ავადმყოფსაც, მახლობელ ადამიანს. მხნეთ არის. მივდივარ სოფლისაკენ. სადგურის ნაწილი მთლად დანგრეულია, დანგრეულია ისეთი ხელით, რომლის წარმოდგენა კაცს არ ძალუძს. ფორმა და სახიერება ხანგრევთა არ ძალუძს არამც თუ კაცის ხელით შესაძლებლობას, მის ფანტაზიასაც კი. ხიდი შენახულა. მადლობა ღმერთს! ზიანს მუაში ვერ ვამჩნევ. გულის საკლავი საშველრო სიჩუმით მხვდება ქალაქი.

ხიდის ყურის პირველი შენობა მთლად დაფხალულა. ეს მიხეილ ერისთავის სახლია. შემდეგ ქალაქმა წაართვა. სტიქია კი ორივეს მტრულია! სოციალური პრობლემა გადაწყდა! უღვთილი სასულიერო სასწავლებლის ეკლესიის წინა კედელი მოგრეულა. მოსჩანს კანკელი მაღლა აღმართული ჯვრით და ხატებით. უკვე გადახვეული ხელი პირჯვარსა მწერს.

„ნეტარ არიან მორწმუნენი!'' გიტაცებს ფიქრი და შურით შენატრი იმათ, ვისაც შეუძლიათ ინუგეშონ თავი უზომო რწმენით.

უხვევ სახლისაკენ. ვერა ვცნობ არე მარეს. ორი კედელი შიგაა გადმოვარდნილი. ახლოს არ მიისვლება. საშიშია. ეზოში ტილოს და საბნების რამდენიმე კარავია. უცნობი ხალხი შეფარებულა ჩვენ მინგრეულ კარ-მიდამოზე. უცნობი დედაკაცი ამტვრევს ჩვენ მესერს და უკეთებს ცეცხლს. დაბუხულს და დასუსტებულს უჭირდება ეს საქმე. ინსტიქტიურად და უფრო მოხერხებულად ვასრულებ ამას. საკუთარს მესერს შეკე ვამზადებ ცეცხლისათვის, რომ გაითბეს მოყვასი. შენობის დროს ვგრძნობდი რომ ისე უნდა მოვქცეულიყავი, ახლა არა ნაკლებ ვგრძნობ, რომ ასე უნდა მოვიქცე. შევდივარ სოფლის გზას. გორი ან დანგრეულია ან დანაშუშჩებული. ხალხი გარეთაა. მათი სურათი აღბიძეს გაზეთებმა და სინემატოგრაფებმა. მხოლოთ მათ გრძნობას და განცდას ვერც მე გადმოვცემთ, ვერც არავინ. ვერც თითონ განმცდელნი რამდენიმე ხნის შემდეგ. იგი დროს ხაოსში იყო და გახუმელორეებულია. ქუჩის შუაგულს ვატან. სხვაგვარად არ შეიძლება. საშიშია ქვამ არ მიწიოს აქეთ იქიდამ. რაც უახლოვდები გორის შუაგულს ნანგრევები უფრო ძლიერია. ოქონა ძლიერად დამდილა. სომხის ეკლესიას სამი კედელი წასქცევია. დახურული ბაზარი მთლად ჩანგრულა საუკეთო ხანგრევებით. სობორო დაფშხალულია. საურთიერთო ბანკის კედლები ჩამოშლილან, მაღლა იატაკზე მხოლოდ ლითონის კასსა მოსჩანს.

ხითარაანთ უზარ-მაზარი სახლი, მეფე ერეკლე რომ უმასპინძლია, მთელ მთა ხანგრევებათ წევს. სასწორის გასავალი მთლად შეუკრავთ ხანგრევებს. ერთი ორგან მარხილები იბარგება. მხვდება ნაცნობიც გუშინდელი კარგი ვაჭარი. შეუკრავს გადარჩენილი ხაბა ხუნა და ისტუმრებს ცოლ-შვილს... სოფლად, ნათლიმამასთან. „სხვაგან რა წამაყვანს, ჩვენ აქაური ხალხი ვართ, ხეტიალზე თავს ვერ დავდებთ. ცოლშვილი სოფელს შევაფარებს თავს, მე აქ ვიტრიალებ, ეგებ ხის ფარდული მაინ გავიმეხო, მოსული ხალხი მიდის, ჩვენ წასვლა ხელს არ მოგვცემს''...

ეს ჩვენი ქართველობაა! დაე იყოს აგრეც.

ამან შექმნა კულტი კერის ღმერთისა და კულტმა კი უძლეველ გვქნა ჭირში და მით ქვეყანა შეგვანახვინა. სხვამ აბა ეცადოს ფიქრით მაინც წარმოიდგინოს ის, რაც გადახდია ქართლს და ის სიკერპეწლა სიძლიერე სულისა რომლითაც მას ტანჯვა უზიდნია. შეზარავს მარტო წარმოდგენაც კი!

„ისეთ ფარდულის შეკვრას კი მოვახერხებ ნანგრევი მასალისაგან, როგორიც ჩემს წინაპარს ჰქონია, გორში რომ მოსულა პირველად'' განაგრძობს ჩემი ნაცნობი.

ღმერთმა გიშველოს და ხელი მოგიმართოს!

მაგრა ვართმევ ხელს და განუცდელი წარმტაცი სასოება მიპყრობს სწორედ იმ გორელის წინაშე, ვინც ვინ იცის ტანჯვის რამდენი ფარდული აშენა, და რომელსაც სახელი ვინ იცის რამდენი იყო.

გადავიტანთ ამ ჭირსაც.

განქარებულის ნაბიჯით ვცდები გორს.

მთვინულ თოვლიან ბილიკზედ სიარული მიძნელდება. საათი მაჩვენებს, რომ მანძილს, რომელსაც უნდებოდი ოცი წუთი, ერთი ორათ მეტს დროს ვანდომებ.

ბერბუკთან ტორტლის პირები მონზლეულია კარგა მანძილზე. ბერბუკი დაფხალულა. არც ერთი შენობა არ არის დაუზიანებელი. ხალხი გარეთა სცხოვრობს.

ახალი მოსტუმრე ხალხიც მოსჩანს. გორელებს სოფლისათვის მოუშურებიათ. მაძღარია სოფელი. პური და სანოვაგე რამდენიც გნებავთ. საბძლები და ბოსლები შერჩენიათ. ეს დიდი ნუგეშია. ორივე ეკლესია დაფშხალულა. სამაგიეროთ ბჭკირი არ შევარდნია ძველს, უხსოვარ დროისაგან ნაშენს დუღაბით ნაშენს კვირაცხოველს.

გზაში სვენელები მხვდებიან. უბედურობა იქ დიდია.

საკვირველია, ეს სოფელი სწორედ იმავე სიმაღლეზე მდებარეობს, როგორც გორი და ხიდისთავი. და აქაც ისეთივე სტიქია უღვთილა, როგორც გორში და ხიდისთავში. დაუნგრეველი შენობა აღარ არის სოფელში. ხალხი გარეთაა თავზარდაცემული. მიწურიც შეუბერტყნია და ჭერ ჩანგრეული ბოსლები ყვავის დაშლილ ბუდეებათ გამოიყურებიან. საქონელი მთლად გარეთაა. სცივა და ბღავის გულსაკლავათ. ადამიანი პირუტყვზე შემძლე უღვთილა! ისეთი საშინელებით განიცდის პირუტყვი, ისეთი განცდითაა შეპყრობილი, ისე ეხმაურება ამ საშინელებას, რომ ვერავითარი ნერვები ვერ უძლებს მათ უბედურობას. ხალხში სიკვდილით არავინ დაშავებულა. სამაგიეროთ დასახიჩრებულნი და ავათმყოფნი არიან ბლომათ. მათ შველა უნდათ უმალ. გორში ბარათს ვწერ. ვეხვეწები მოუშველნენ უბედურთ.

შეცვლილა ხალხის პსიხიკაც. რელიგიოზურ განცდას შეუპყრია ყველა. გამონაკლისი არ არის. ერთათ ერთ ნუგეშს ღვთის წყალობაში ეძებს ხალხი.

ქადაგათ ბევრია დაცემული. მოსთქვამენ და მოუწოდებენ ხალხს მოსანანიებლათ ცოდვისა. განვლილი ხანი და დიდი ისტორიული მომენტები, რომელიც განვიცადეთ თავისებურ შეფასებას ჰპოვებს მათში. ღრმათაა გამჯდარი ეს განცდა.

მასზედ მრავალი მომავალი თაობის პსიხიკაც შემუშავდება. ნურავინ იფიქრებს მის განკურნებას რეგვენი პროპაგანდისტის ენით, რჯულის გამასხარავებით. გვესაჭიროება აზრიანი, შეწონილი მოქმედება.

ძველი ქართველი.

სასოფლო მეურნეობა

შაბიამან-გოგირდის საკითხი

ჟურნალ „ვაზი და ღვინოს'' პირველ ნომერში ბ-ნა გ. წინამძღვარი სწერს:

„საქართველოს სასოფლო მეურნეობის დარგთა შორის ყველაზედ მეტ გაჭირვებაში ჩავარდა მევენახეობა, რადგან ვენახის დასამუშავებლად და მოსავლის მოსაყვანად უმთავრესად წამლობა, ანუ შაბიამანი და გოგირდია საჭირო და ეს წამლები კი მარტო უცხოეთიდგან შემოდის ჩვენში. ომის წინათ შაბიამანი ინგლისიდან მოსული ბათუმში ფუთი 3 მ. 25 კ. ფასობდა, ხოლო გოგირდი მარსელიდგან (საფრანგეთი), ან იტალიიდგან მოსული 1 მ. 35 კ.—1 მ. 45 კ. ფუთი. მაგრამ დაიწყო თუ არა ომი დაიკეტა სტამბოლის გზა, შაბიამან-გოგირდმა დაიწყო საშინელი გაძვირება. უპირველეს ყოვლისა სპეკულიაცია შაბიამან გოგირდს შეეხო. მეტადრე, რაკი უცხოეთიდან თითქმის შეუძლებელი გახდა წამლეულობის მიღება, მათი დამზადება დაიწყეს შინაურ (რუსეთის) ბაზარზედ და მევენახეს აწვდიდენ ხშირად ყოვლად უვარგის მასალას, იმასაც ძლიერ ძვირად. ძლიერ გაძნელდა რიგიანი წამლის შოვნა და ყოველ წელიწადს ძალიან ბევრი ვენახი რჩებოდა შეუსწამლი, რამაც, რა თქმა უნდა, ბევრი მათგანი მთლადაც ამოაგდო— აკი ამიტომ იყო, რომ მევენახე უფრო მოუთმენლათ ელოდა ომის გათავებას იმ იმედით, რომ ძველებურათ სამყოფი და კარგი ღირსების შაბიამან-გოგირდი შემოვიდოდა ინგლის-იტალიიდან. მართლაც და პირველ დღეებშივე, როცა კი უცხოეთთან სავაჭრო ურთი-ერთობის აღდგენა შესაძლებელი შეიქნა, ცალკე მთავრობა და ცალკე კერძო პირები ყველა გვპირდებოდა მათ გაიაფებას, ყველაზედ მეტად კი მთავრობა და მოსკოვის სახალხო ბანკის თფილისის განყოფილება. ამ მიზნით ბლომად შეიძინეს მათ შაბიამან-გოგირდი: მოსკოვის ბანკმა 55 ათას ფუთამდე შაბიამანი, ხოლო მთავრობამ კი 80 ათას ფუთამდე შაბიამან-გოგირდი და მაისში მათი საქონელი მოადგა კიდეც ბათუმს. ამ დროისთვის სხვა და სხვა კერძო მოვაჭრეებმაც შემოიტანეს ბათუმში წამლეულობა და მათი ფასი ჯერ 400 მანეთზედ ჩამოიდა ფუთი (1200 მანეთიდან), ხოლო შემდეგ კი 250 მანეთადაც ჰყიდნენ შაბიამანს კერძო მოვაჭრენი. როგორც გვესმოდა თვით მთავრობასაც და სახალხო ბანკის განყოფილებასაც ამაზედ მეტი არ ულირდათ შეძენილი შაბიამან-გოგირდი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, 400 მანეთად ჰყიდნენ ფუთს. ჩვენც რა გვეთქმოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სპეკულიაცია გადამდები სენი ყოფილა და აკი მთავრობასა და მოსკოვის ბანკსაც გადაედოთ ეს სენი და უფრო მეტადაც, ვიდრე კერძო ვაჭრებს. მთავრობამ მაისში მიღებული შაბიამნის ნაშთი ამ ერთ თვეში შეაფასა 600 მანეთად ხოლო გოგირდი კი 700 მანეთად ფუთი (ახლად შეძენილ გოგირდთან ერთად) მაშინ, როდესაც ინგლისიდან ახლად ჩამოსულ საქონელს (შაბიამანს) ბათუმში ფუთს 420 მანეთად ჰყიდიან კერძო ვაჭრები (გაზეთებშიც კი იყო განცხადება). ყველამ ვიცით, რომ ჩვენს ფულზედ ინგლისში შაბიამანს არავინ მოგვყიდის და ამიტომ იძულებულია ყველა შაბიამნით მოვაჭრე შეიძინოს ინგლისური ფული—სტერლინგი, რომელიც მაისში, ე. ი. მაშინ, როდესაც მთავრობამ შაბიამანი მიიღო, ჩვენს ფულზედ ღირდა 200 მანეთი, ხოლო დღეს კი, ე. ი. მაშინ, როდესაც მთავრობა შაბიამანს 600 მანეთად ჰყიდის, ხოლო ახალი მოსული შაბიამანი იყიდება 420 მანეთად, იგივე სტერლინგი ღირს 800 მანეთი, ანუ ერთი ოთხად მეტი აქედან უბრალო ანგარიში გვიჩვენებს, რომ თუ მთავრობა ფუთს 600 მანეთად ჰყიდის, ახლად მოტანილი 2400 მანეთი მაინც უნდა ღირდეს, თუნდა თვით საქონელი არ გაძვირებულიყოს თავის ადგილას ინგლისის ფულზედ, მაგრამ როგორც ვიცით 2400 მან. მაგიერ 420—450 მანეთადაც იყიდება იგი.

მევენახეს რომ საშუალება ჰქონდეს ამ 600 მანეთში მაინც მიიღოს შაბიამანი კიდევ არაფერი, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ შაბიამან-გოგირდის განაწილების წესი უარესია, ვიდრე თვით ფასი: სამინისტრო ანაწილებს შაბიამანს ლიკვიდაციის პროცესში მყოფ „სასურსათო საბჭოს საშუალებით, მერე მისი პატრონი ხდება ერობათა ცენტრი, შემდეგ სამაზრო ერობა, შემდეგ სამაზრო კოოპერატივთა კავშირები, შემდეგ უფრო წვრილი რაიონის კავშირები, და მხოლოდ ამის შემდეგ (რაც ალბათ წამლობის ვადის გასვლის შემდეგ თუ მოხდება) თვით მევენახე. რა თქმა უნდა ყველა ჩამოთვლილმა დაწესებულებამ უნდა დაადოს საქონელს ერთგვარი ხარჯი თავის სასარგებლოდ და მთელი თავისი საძინელის სიმძიმით დააწვებ ამოვაჟღნილ ვენახს და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც საკუთარი მიწათმოქმედების სამინისტრო გვაქვს. მაგრამ იქნებ მევენახეობა არ შეადგენდეს სახელმწიფოს საზოგადო დარგს მეურნეობისას? ნუთუ სახელმწიფო ვენახებიც შაბიამან-გოგირდს ამ წესით და ამ ფასათ მიიღებენ, ე. ი. 1000 მანეთში? ან იქნებ არ იციან ახალმა კომერსანტებმა, რომ შარშანდელი ღვინის მოსავალი ჩვეულებრივის მეოთხედზედაც ნაკლები იყო? მერე საიდან უნდა გავიღოთ წამლებისთვის დესეტინა ვენახზედ 6000 მანეთი (ექვსი ფუთი შაბიამან-გოგირდი ხომ საჭიროა?)? კარგია რომ ამასაც იანგარიშებდნენ''.

მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება.

(კანონპროექტი*)

ამიერ კავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტის პირველ და მეხუთე მუხლთა განსავითარებლათ აღიარებულ იქნას:

1. ყველა მიწების გული და მადნეულობა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულ იქნას სახელმწიფო საკუთრებად 1917 წლის 16 დეკემბრიდან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამონაკლისს შეადგენენ ჩვეულებრივი თიხა და ქვიშა, ხრეში საშენებელი ქვა და ქვა-კირი.

2 ყველა ამ კანონის გამოცემამდე კერძო პირთა, ამხანაგობათა ან საზოგადოებათა მიერ მიღებული მოწმობები სახაზინო მიწების გამოკვლევის ნებართვისა და აქტები ამ მიწების გამოყოფისა, აგრეთვე საიჯარო ხელშეკრულებანი და ყველა სხვა ნებართვანი კერძო მესაკუთრეთა მიწების გულის და მადნების დამუშავების შესახებ გაუქმებულად ჩაითვალოს.

3. ჭიათურის შავიქვის სამრეწველო რაიონში მრეწველთ ეძლევათ უპირატესობა იმ მადნების დასამუშავებლად მიღებაში, რომელსაც ისინი ამუშავებდნენ ამ კანონის გამოცემამდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ხსენებულ რაიონის მადნების მესაკუთრეებს ნორმის ფარგლებში მიეცემათ სასყიდელი, რომელიც განისაზღვრება განსაკუთრებული წესით.

---

*) წარდგენილია დამფუძნებელ კრებაში აგრარული კომისიის მიერ.

ყარიბის წიგნი

რედაქციას მოუვიდა ყარიბის რუსული წიგნი „Красная книга''. ეს წიგნი პასუხია სომხების მიერ საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოშვებულ ჩალხუშიანის წიგნისა. იგი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს მოზრდილ ფორმატის 260 გვერდს და ღირს 100 მანეთად.

ახალგაზდა ნაციონალისტთა ორგანიზაცია

კვირას, 29 თებერვალს, შესდგა ნაციონალ. პარტიის წევრ. სტუდენტთა კრება; არჩეულ იქმნა ახალგაზდა ნაციონალისტთა ორგანიზაციის კომიტეტი, რომელშიაც შედიან ვ. ცხადაძე, ი. დიდიძე, პ. ნემსაძე, ა. ანთიძე, ს. ჟღენტი, ლ. მაჭავარიანი და სხვ. კომიტეტმა უნდა მოაწყოს ახალგ. ნაციონალ. სექციები თფილისის ყველა სასწავლებლებში და პროვინციაში.

ამ ჟამად მოწყობილია უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტის სექცია, რომლის ბიუროში შედიან: ვ. ცხადაძე, პ. ნემსაძე, ქ. კელენჯერიძე, ა. კანდელაკი, ჯეგნარაძე და სხვანი.

ხუთშაბათს, 4 მარტს, ამ სექციამ მოაწყო უნივერსიტეტში გრ. ვეშაპელის მოხსენება „პოლიტიკურ პარტიებზე'';

კვირას, 7 მარტს, უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობის არჩევნებში ნაციონალისტთა ორგანიზაცია გამოდის თავის სიით.

ახალგაზდა ნაციონალისტთა ორგანიზაციის კომიტეტი მოთავსებულია „კლდის'' რედაქციაში (სასახლის ქუჩა № 5).

უკანასკნელი ცნობები

ლონდონი. [illegible] საფრანგეთის (გენერ. ფოშის) წინადადებას, რომ მოკავშირეთა ჯარებმა მოახდინონ ოკუპაცია ბოსფორისა და აუკრძალონ ოსმალეთს დიდი ჯარის ყოლა.

—

ბესარაბიიდგან დაძრული დენიკინის ჯარები შეუერთდნენ პოლონეთის ჯარს კამენეც-პოდოლსკში.

ბათუმის ცნობები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

აჭარელი ლეგიონერები

მურღულისა, ართვინისა და მარადიდის რაიონებში თავს იყრიან ძველი ლეგიონერები (ქართული ლეგიონისა); აქაურ მომუშავეთ განზრახული აქვთ მთელ სამუსლიმანო ოლქში შეუდგენ მუსლიმან რაზმების მოწყობას ინსტრუქტორ ოფიცრების ხელმძღვანელობით.

უცხოელ აგენტების მუშაობა.

სხვა და სხვა სახელმწიფოთა აგენტებს და რუსის ოფიცრებს ინგლისის სამხედრო გუბერნატორის კუკ-კოლისისათვის უთხოვიათ ნებართვა, საჭირო საშუალებანი და ფული ოლქში ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობის მეთაურთა ან დასაპატიმრებლად, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში დასახოცად.

რუსის პოლკოვნიკი „იონინი'' ენერგიულად მუშაობს.

ბათუმში ხმებია გავრცელებული რამოდენიმე მილიონი მანეთი მოვიდა რუსების, სომხების და სხვა აგენტების სამუშაოდ.

რეჯებ ადასოფი ოდლუ თიკანაძე.

გარდაიცვალა მუსლიმანი მოღვაწე, რეჯებ თიკანაძე. განსვენებული თავის შვილთან ერთად დიდ წინააღმდეგობას უწევდა აჭარის მტრებს, უკანასკნელ დროს, როცა მარადიდში ინგლისელების აგენტებს ხალხის დაფიცება უნდოდათ ინგლისის სასარგებლოდ რეჯებმა და მისმა შვილმა შეაგნებიეს ხალხს, თუ რა საბედისწერო შეცდომას სჩადიოდენ და ეს ორიგინალური ფიცი არ მიაღებინეს.

შიმშილობა.

ართვინის ოლქში, მურღულში და საერთოდ მთელ აჭარაში დიდი შიმშილობაა, ხალხი სიმინდით დახმარებას ელის საქართველოდან.

ბათუმელი.

რედაქტორი გრ. ვეშაპელი.

დამფუძ ეზელი კრების ფრაქცია

ნაციონალ. პარტიისა აცხადებს, რომ ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება

თფილისში მთავარ კომიტეტში (გრ. ვეშაპელის ბინაზე. წყნეთის ქ. № 17 ტელეფ. № 22)

სოხუმში: აფხაზეთის საოლქო კომიტეტში (გრანდ-ოტელ. № 12) თავმჯდომარე ვლადიმერ პახვ. ემუხვართან.

ახალციხეში სამაზრო კომიტეტში (კოტე გვარამაძესთან)

ახალქალაქში: სამაზრო კომიტეტში (საგენტი ნადირაძესთან)

ქუთაისში სამაზრო კომიტეტში (ორპირის ქ. დავ. ლოლობერიძის სახლში).

ზესტაფონში სამაზრო კომიტეტში (ბესარიონ კელენჯერიძის სახლი)

ხარაგაულში სარაიონო კომიტეტში გიორგი სვიმონისძე წერეთელთან და თამარა ქავთარაძესთან

კორესპონდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივათ აწვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი და ეძლევათ

ჰ ო ნ ო რ ა რ ი.

კორესპონდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.

პასუხი და რჩევა მკითხველთ

„კლდის“ რედაქცია აწვდის მკითხველთ კანსაკუთრებით პროვინციის, სოფლის მცხოვრებთ, იურიდიულ რჩევას მიწისა და სოფლის მეურნეობის საკითხებში;

მისამართი: თფილისი, წყნეთის ქუჩა № 17.